# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— ხუთშაბათი, 2 მარტი 1900 წ. № 1059.

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.
**ტელეფონი № 372.**

## „მ ო ა მ ბ ე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
|---|---|
| **გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.** | **გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.** |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით |
| 10 მანეთი 6 მან. 4 მან. | 6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ |
| სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან. | სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
|---|---|
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

| | |
|---|---|
| ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა. | გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ. |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.
თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.
ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.

წარსული წლების ჟურნალი „მოამბე“ გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 წ. და 1895 წ.—შვიდ-შვიდ მანეთად და 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად. ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

**ფოტოგრაფია**

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში.

(ნ. 0—19)

### მთავრობის განკარგულებანი

დარჩენილ არიან შტატს გარეშე ინსტანციის უფროსები: განჯის მაზრის—მელიქიშვილი, ჟუვანშირისა—თავ. გურამიშვილი და შუშისა—ქარცივაძე.

## ახალი ამბავი

✦ გუშინ, 1 მარტს, ექზარხოსის ეკკლესიაში, მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ექზარხოსმა ფლაბიანემ, თანამსახურებით ეპისკოპოსების ლეონიდისა და კირიონის სამღვდელოებითურთ, გარდაიხადა წირვა და პანაშვიდი განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე მეორის სულის მოსახსენებლად. წირვასა და პანაშვიდს დაესწრნენ მმართველობისა, წოდებათა, ქალაქისა და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და მრავალი ხალხი.

✦ „პრავიტ. ვესტნიკის“ სიტყვით, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, უმაღლეს სასახლის ეგერმეისტერი თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი 16 თებერვალს წარუდგა ხელმწიფე იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულს და 19 თებერვალს—ხელმწიფე იმპერატრიცას მარიამ თეოდორეს ასულს.

✦ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელები საზოგადოების“ საპატიო წევრმა ბატონმა იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილმა ამ დღეებში წარუდგინა ხსენებულ საზოგადოების გამგეობას წერილობითი მოხსენება, რომლითაც იგი სამუდამოდ სრულს უფლებას აძლევს გამგეობას გამოსცეს საზოგადოების სასარგებლოდ მისი შემდეგი საკუთარი წიგნები: 1) „იავნანამ რა ჰქმნა“, 2) „ხატის მიზეზი“, 3) „ასპინძის ომი“, 4) „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“, 5) „ძირითადი უკუღმართობა“, 6) „სხივი წარსულისა“, 7) „ხომლი“, 8) „კუნწულა“, 9) „საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა“, 10) „თავ-დადებულნი ქართველნი“, 11) „მოსავლის მცველნი“, 12) „Разборъ учебныхъ руководствъ по русскому языку“, 13) „Нормальное письмо“, 14) „Правда о Тифлисѣ“, 15) „Къ вопросу о поднятіи уровня образованія среди Грузинскаго населенія“. ამასთანავე ჩვენმა სასიქადულო პედაგოგთ-მთავარმა უფასოდ დაუთმო „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ყველა ამ გამოცემებისათვის დამზადებული კლიშეები. საზოგადოების გამგეობამ, მოისმინა-რა აღნიშნული მოხსენება 22 წარსულ თებერვალს შემდგარ სხდომაზე, დაადგინა: „დიდის მადლობით მიღებულ იქმნას საპატიო წევრის იაკობ გოგებაშვილის შემოწირულება“. ჭეშმარიტად რომ დიდის მადლობის ღირსია ჩვენი დაუღალავი მუშაკი ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი.

✦ დღეს, 2 მარტს, მოხდება სხდომა ტფ. გუბერნიის ქალაქთა საქმეების საკრებულოსი, რომელზედაც განიხილება ცნობილი საქმე ქალაქის გამგეობის წევრთა და ქალაქის თავისა შასუხის გაბაში მიცემის შესახებ სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველთა—ხეროდინოვის და კუზანოვის—საქმისა გამო და აგრეთვე საქმე ხმოსნის თავ. ნ. ზ. თუმანოვის პასუხის გებაში მიცემის შესახებ დასაფასებელ სიებში სიყალბის ჩადენის გამო.

✦ გზათა სამინისტროს უკვე შეუდგენია პროექტი ბათუმის ნავთსადგურის გაფართოებისა და გადაკეთების შესახებ. ნავთსადგური ისე იქმნება გადაკეთებული, როგორც არის საუკეთესო მთელს ევროპაში ნავთსადგური ანტვერპენისა. მთლად მუშაობა დაჯდება 12 მილ. მანათი. ნავთსადგური უნდა გადაკეთდეს ოთხის წლის განმავლობაში.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ ჟამად ადგენენ ნოქრების და სავაჭრო დაწესებულებებში სხვა მსახურების და აგრეთვე ხელოსნების საურთიერთო დამხმარებელ კასსის წესდების პროექტს. ამ პროექტის დამტკიცების შემდეგ კასსის გახსნის ნების დართვის მიცემა გუბერნატორებს შეეძლებათ.

✦ როგორც გვატყობინებენ, სვანეთის უკანასკნელ მთავრის მურზაყანს (კონსტანტინე) დადეშქელიანის უფროსი შვილი მონასტრი, რომელიც პოდოლის გუბერნიაში სცხოვრობს, მძიმედ გამხდარა ავად ჭაჭის სატკივარით. ექიმების რჩევით, ავადმყოფი კაირში (ეგვიპტეში) მიჰყავთ საექიმოდ.

✦ ამ დღეებში ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ ბაქოდან მიიღო ორი ათას ორას ორმოცი მანეთი, 29 იანვარს ამა წლის იქაურ ქართულ საღამოდან შემოსული ფული. გამგეობამ ამ ფულიდან ოთხას ორმოცი მანეთი გადასდო ბაქოში შეუძლო ქართველ საზოგადოების სწავლა-განათლებაზედ მოსახმარებლად, ორასი მანეთი ქუთაისის სამეურნეო სკოლისათვის და ასი მანეთი ერთი ხელმოკლე მოსწავლე ყმაწვილის აღსაზრდელად.

✦ ტფილისის გამგეობა ბოლოს დროს ზოგიერთ შემთხვევა-

ში ძალიან აჩქარებით აბოლოებს საქმეს და არც კი აცდის, რომ კარგად ასწონ-დასწონონ საქმის გარემოება და სხვ. ეს აჩქარება უფრო დაეტყო **ფუნიკულიარის** გამმართავის ბ-ნ რობის წინადადების შეტანას საბჭოში და განხილვას. მას შემდეგ, რაც რობის უცნაური მანიევრის შემდეგ საგუბერნიო საქმეთა საკრებულომ შეაჩერა ქალაქის მიერ ტრამვაის შესყიდვა, და ზოგიერთთა ქალაქის ვითომ და მზრუნველთა წყალობით ეს ფრიად სასარგებლო საქმე ხელში ჩაუგდო უსახელო საზოგადოებას, ანუ მის წარმომადგენელს ბ. რობის, ამ უკანასკნელს მადა განუცხოველდა მით უფრო, რომ გზა გაკვლეული აქვს და იცის, სად ესროლოს ბადე და როგორ. ორშაბათს ქალაქის მოურავი წარუდგენს საბჭოს ახალ პირობის პროექტს დასამტკიცებლად. ამისთანა სისწრაფით საქმის გათავება უადგილოა, რადგან შესაძლებელია, რომ ბ-ნ რობიზე უკეთესი და სასარგებლო პირობები წარუდგინონ, მით უფრო, რომ ფუნიკულიარის გაკეთება მთაწმინდის მთაზე განსაკუთრებულ მის, ბ. რობის, აღმოჩენას არ წარმოადგენს. ტფილისში რამდენიმე პირნი არიან, რომელთაც აზრად ჰქონდათ ამ რკინის გზის გამართვა (მათში ი. ს. ყორღანოვსაც).

◆ როგორც უკვე უწყიან მკითხველებმა, წელს, ოქტომბერში, **სამხედრო ბეგარის** აღსრულებისთვის მიწვეულნი იქნებიან ის ყმაწვილნი კაცნი, რომელნიც დაბადებულან 1878 წლის 1 ოქტომბრიდან 1879 წლის 1-ლ ოქტომბრამდე. ის ყმაწვილი კაცნი, რომელნიც უკვე ჩარიცხულნი არიან სიებში, თუ ისინი უფროსი ძმები არიან ოჯახში და დანარჩენ მათ ძმებს 18 წელიწადი არ შეუსრულებია ჯერ, ვალდებულნი არიან ეხლავ წარადგინონ სამხედრო საკრებულოში პოლიციის მოწმობა, რათა მათ აღმოეჩინოს შეღავათი. ის ყმაწვილი კაცები კი, რომელნიც საშუალო ან უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ და ჰსურთ განაგრძონ სწავლა, ვალდებულნი არიან ეხლავ წარადგინონ ხსენებულს საკრებულოში სასწავლებლის მმართველობის მოწმობა.

◆ როგორც გადმოგვცეს, უწმ. სინოდს განუმარტავს ყველა ეპარქიების მმართველთათვის, რომ ოფიციალურად **სიღარიბის მოწმობის** მიცემა შეუძლია სამოქალაქო უწყების დაწესებულებათ, ხოლო სასულიერო პირთ არა აქვთ ნება ამგვარ მოწმობების მიცემისა.

◆ ჩვენ გადმოგვცეს, რომ 11 მარტს „ტფილისის სობრანიეს“ დარბაზში ცნობილი მომღერალი ქალი კნ. ე. ფ. **გურამიშვილისა** გამართავს კონცერტს.

◆ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა დაამტკიცა თანამდებობებზე ოთხის წლით: გორის მოურავისა—ბ-ნი **ი. სააკოვი** და მის თანაშემწისა—ბ-ნი **ა. ანდრონიკაშვილი** თანახმად ქალაქის რწმუნებულთა არჩევნებისა 7 წარსულ ნოემბერს.

◆ განზრახულია შემოიღონ ქართლ-კახეთის ეპარქიის სამრევლო სასწავლებლებში შესწავლა **ხელსაქმისა** ქალთათვის.

◆ **მებაღეთა საყურადღებოდ** ვაცხადებთ, რომ ამ ჟამად საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ დააარსა ცნობათა ბიურო, (გოლოვინის პროსპ., № 47), რომლიდანაც მსურველთ შეუძლიან უფასოდ მიიღონ ყოველგვარი დარიგება და ცნობა ბაღოსნობის შესახებ. ბიურო გახსნილია საღამოობით.

◆ სოხუმიდან გვწერენ: ამ ზამთარში პირველად 25 თებერვალს დავინახეთ **თოვლი სოხუმში.** სულ თხუთმეტიოდ წუთს მოდიოდა და მიწა ოდნავ დაჰფარა. თოვლი მეორე დღესვე აიღო. 26 თებერვალს, ღამით, გაჰყინა და წინა დღეების სითბოსაგან გამოტყუილებული ყვავილი ხეხილისა დასძრა. გაფუჭდა ატამი და ტყემალი, ზოგან ვაშლიც; ასე რომ ხილის მოსავალი წლეულს ნაკლები უნდა იქმნეს. კვლავ კარგი დარები დაიჭირა. საზოგადოდ, წრევანდელი ზამთარი მეტად თბილი იყო.

◆ კვირას, 5 მარტს, ანჩისხატის ტაძარში, წირვის შემდეგ, გარდახდილ იქმნება პანაშვიდი 17 თებერვალს უეცრად გარდაცვალებულის მღვდლის **ალექსანდრე მოლოდინაშვილის** სულის მოსახსენებლად. დასაწყისი 12 საათზედ. იგალობებს ი. მონადირაშვილის მგალობელთა გუნდი.

◆ როგორც მკითხველებმა იციან, შარშან, ტფილისის სამოსამართლო პალატაში, სხვათა შორის, ირჩეოდა **საქმე** კოდორის ნაწილის (სოხუმის ოლქი) უფროსის **ჩეჩელევისა**, რომელსაც ჰბრალდებოდა შეურაცხყოფა ოჩამჩირის მცხოვრების, აზნაურის ფარნა დავითაიასი და სხვა დანაშაულნი, ჩადენილნი ჩეჩელევის მიერ სამსახურის დროს. პალატამ ჩეჩელევი დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა ექვსის თვით ციხეში დაპატიმრება. აზნაურმა ფარნა დავითაიამ პალატას სთხოვა, განკარგულება მოახდინეთ, რომ ჩეჩელევს თავის სასჯელი მოხადონო. მაგრამ პალატამ ბ-ნს დავითაიას გამოუცხადა, რომ ჩეჩელევს ახალი დანაშაული გამოაჩნდა და სისხლის სამართლის წესით პასუხი უნდა აგებინონ 959 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, რადგან სიყალბე ჩაუდენია და ამიტომ თანახმად პალატის დადგენილებისა, მაშინ და ჩასვამენ ციხეში, როცა ეს ახალი საქმე გაირჩევაო.

◆ 29 თებერვალს, ნაშუადღევის ასე 1 საათზე, გაუჩნდა ცეცხლი კუკიაში, «ტრამვაის» ვიწრო ქუჩაზედ, პანკინის ორ-სართულიანს სახლს; ცეცხლის ალმა საშინელის სისწრაფით შთანთქა მთელი შენობა. აქედგან მოედვა ცეცხლი კადამცევის სახლს და დაიწვა ისიც. ამ ორ სახლში ოც-და-ათ ოჯახამდი იდგა. ორივე სახლების პატრონთა და ოც-და-ათ მდგმურის ყოველივე კუთვნილი ნივთი შთანთქა გაშმაგებულმა ცეცხლმა.

დაშავდა რამდენიმე ადამიანი, ხოლო სავსებით დაიწვა ორი ადამიანი: მებუსრე პადალკინის მეუღლე მართა და მისივე ხუთი წლის ქალიშვილი. ამათის დამწვრის ტანის მხოლოდ მცირეოდენი ნაშთი და იპოვნეს. როცა მართა პადალკინისა გარეთ გამოვარდნილიყო, უცებ მოჰგონებოდა, რომ მას დამალული ჰქონდა სამკვდრო-სასიცოცხლოდ შენახული ხუთი თუმანი.

«ვაიმე ფული დამრჩაო»—დაეყვირა საცოდავს და შებრუნებულიყო ოთახში, სადაც ცეცხლის ალი მოეხვია და დაიღუპა ბეჩავი თავისის შვილით. დღეს, როგორც მთლად 30-ი მდგმური, ისე პადალკინის შვიდი შვილი ულუკმა-პუროდ არიან დარჩენილნი.

დროით გაიგო ცეცხლის მქრობელ რაზმს, მაგრამ — რა! «ტრამვაის» პარკიდგან ანდრეევი ქუჩაზედ ჩაფლულიყვნენ ცხენები და ეტლები და ვერაფრით ვერ ამოეყვანათ, და წყლის მიტანა ხომ ამ უშველებელ ტალახისა გამო (ნახევარ ადლზედ მეტია) სრულიად შეჩერდა («ივერია»).

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

29 თებერვალი

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. სხდომის დასასრულს მინისტრ-პრეზიდენტი უპასუხებს დაკითხვაზე—მართლა გაიგზავნა ავსტრიიდან სამხედრო მასალა ინგლისში თუ არაო. გარეშე საქმეთა მინისტრის თანხმობით, ის აცხადებს: ნეიტრალიტეტი ეხება მხოლოდ მთავრობათა ურთიერთობას და არა ქვეშევრდომთა ერთმანეთშუა განწყობილებას: ამიტომაც ნეიტრალური სახელმწიფო მოვალეა არ მისცეს რაიმე დახმარება არცერთ მებრძოლ მხარეს, მაგრამ მას შეუძლია რაიმე გავლენა იქონიოს თავის ქვეშევრდომთა სავაჭრო დამოკიდებულებაზე ან საქმეზე. ინგლისისთვის ჰყიდულობდნენ უნგრეთში ცხენებს, მაგრამ ამასთან მთავრობას არაფერი კავშირი არ ჰქონდა. ცხენის პატრონებმა ისარგებლეს შემთხვევით ცხენების გასაღებისთვის, რაც უწინდელ ომების დროსაც მომხდარა. მთავრობას არ შეეძლო აეკრძალა ცხენების გაყვანა საზღვარ-გარეთ, რადგანაც ეს მეტად დასცემდა აღებ-მიცემობის საქმეს. ამგვარი აკრძალვა არ მოუხდენია არცერთს სახელმწიფოს; არ ყოფილა მაგის მაგალითი უკანასკნელ ოსმალეთ-საბერძნეთის ომის დროსაც. დაკითხვის ავტორი ვოლფი არ დაკმაყოფილდა მინისტრ-პრეზიდენტის პასუხით და მოითხოვა კამათის გამართვა დაკითხვის შესახებ. პალატამ უარ-ჰყო ვოლფის წინადადება.

**ლონდონი.** „დეილი ნიუს“-ს ატყობინებენ ვენტერსფლეიდან, რომ ინგლისის ჯარები მიდიან ნოლსპრუიტის ნაპირით. ყველა დივიზიები იღებენ ეხლა მონაწილეობას მოძრაობაში. კოლსპრუიტის ნაპირით წასვლით რობერტსმა კიდევ ერთხელ მოატყუა ბურები, რომელნიც გამაგრდნენ მდინარე მოდდერის ნაპირებზე იმ იმედით, რომ ინგლისელები ამ მხრით წაიდოდნენო. ეხლა ინგლისელთ ველარ გაუწევენ წინააღმდეგობას ბურები ბლიუმფონტენის აღების დროს.

**ვენტერსფლეი.** დღეს, დრიფონტენთან ბრძოლის შემდეგ, რობერტსის ჯარები მსწრაფლ წამოვიდნენ აქეთ ცხენოსანის რაზმებით წინ. ბურების შესახებ დღეს დილით მოვიდა ცნობა, რომ მათ დაუჭერიათ რამდენიმე გორაკი; სულ მათი ჯარი ამ გორაკებზე შესდგება 2000 კაცისაგან 10 ზარბაზნით. ისინი დაჰყურებენ ბლიუმფონტენისაკენ მიმავალს გზას; ინგლისელები სულ 15 მილის მანძილზე არიან ბლიუმფონტენიდან. ინგლისის ჯარები გარს ეხვევიან ბურების პოზიციებს.

**ლონდონი.** ოფიციალურად იტყობინებიან, რომ ფრენჩმა დაიჭირა გუშინ ღამ ორი გორაკი, რომელნიც ბლიუმფონტენს დაჰყურებს.

**ლედი-სმითი.** ბურებს დაუჭერიათ პოზიცია ბრიგგერსბერგთან. ჟუბერი გლენკოში იმყოფება.

**კაპშტადტი.** მეამბოხენი მიუახლოვდნენ ვანვიკსფლეის.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იტყობინება კენტერსფლეიდან 28 თებერვალს: „დღეს ჩვენთვის არავის არ აღმოუჩენია წინააღმდეგობა; ამ ჟამად ჩვენ ბლიუმფონტენიდან 18 მილის მანძილზე ვართ. ხოლო ცხენოსანთა დივიზიას უჭირავს პოზიცია რკინის გზის ლიანდაგზე ბლოემფონტენიდან ექვსი მილის მანძილზე. დივიზიას დაუჭრეს 321 კაცი, მოუკლეს 60—70 კაცი და 13 უგზო-უკლოდ დაიკარგა. ჭრილობები უფრო მძიმეა, ვიდრე წინად იყო, რადგანაც ბურები ამფეთქებელ მასალებს ხმარობენ“.

**ვენტრესფლეი.** 29 თებერვალი. დილას რობერტსმა განკარგულება მისცა ფრენჩს—დაღამებამდე უთუოდ შეიპყრე ყველა ორთქლის მატარებლები და ვაგონები ბლუმფონტენის სადგურისათ. შუაღამისას ფრენჩმა შეატყობინა რობერტს, რომ უწინააღმდეგოდ დაიჭირა ორი გორაკი სადგურის ახლო და ტყვედ წაიყვანა პრეზიდენტი შტეინის ძმა. რობერტსი ამ ჟამად დაიძრა წინ ცხენოსანთა მესამე დივიზიით და ამხედრებულის ქვეითა ჯარით.

**ვერნეულბილი.** გენერალმა კლემენტმა არტილერიით განთიადისას დაზვერა ბურების პოზიცია მდინარე ოარანჟეს ნაპირზე და დაიჭირა გორაკი მდინარის სამხრეთ ნაპირზე, სადაც დაბანაკდა ოთხის ბატარეით და მაქსიმეს სისტემის სამის ზარბაზნით. არტილერიას არ შეუწყვეტია სროლა რამდენიმე საათის განმავლობაში. ას გირვანქიანი ზარბაზნები ისროდნენ ლიდიტის ყუმბარებს. არტილერია ესროდა გორაკებს მდინარის იქითა მხარეზე. ყუმბარებისაგან ცეცხლი წაეკიდა ფერმას, რომელიც ბურებს ეჭირათ. ბურები პასუხს თოფის სროლით იძლეოდნენ. როგორც სჩანს, მათ ცოტა ჯარები ჰყავთ ამ პოზიციაზე. ინგლისელებს სრულიადაც არ უზარალნიათ.

**ბაუპტაუნი.** ბრიტანელთ ცხენოსანი ჯარი კლარეკგოფიდან ექვსი მილის მანძილზე შეფერსატთან შეებრძოლა ბურებს. უკანასკნელთ ექვსი მოუკლეს და დაუჭრეს. ინგლისელთ ერთი კაცი დაუჭრეს მსუბუქად.

**პეტერბურგი.** 29 თებერვალი. ხელმწიფე იმპერატორმა, იმპერატრიცებმა, მემკვიდრემ, დიდმა მთავრებმა და დიდმა მთავრინებმა დაათვალიერეს მხატვართა მოძრავი გამოფენა.

28 თებერვალს ქალაქ ტაგანროგის დეპუტაციამ გადაიხადა პანაშვიდი პეტრე დიდის—ხსენებულ ქალაქის დამაარსებელის—აკლდამასთან და შეამკო კუბო ვერცხლის დაფით შესაფერის ზედწარწერით.

I მარტი

**პეტერბურგი.** დღეს მომხდარ მეორე შინაურ მომგებიანი სესხის სამოცდა მერვე ტირაჟით მოგება ხვდა შემდეგ ბილეთებს; ორასი ათასი მანეთიანი 18346/49; სამოცდათხუთმეტი ათას მანეთიანი—5397/41; ორმოცი ათას მანეთიანი—13580/39; ოცდა ხუთი ათას მან.—7273/24; ათი ათასი მან.—17944/22; 8763/4, 12150/38; რვა ათას მანეთიანი—6228/17, 16059/21, 12145/6, 15970/2, 19738/21; ხუთი ათას მანეთიანი—2113/9, 19967/25, 8789/20, 14337/31, 10694/46, 19097/1, 16724/20, 15867/44; ათას მანეთიანი—18750/34, 13295/16, 10826/11, 8427/38, 142/22, 2308/50, 14346/42, 15536/32, 9622/22, 262/5, 5288/43, 10063/21, 2910/26, 11612/28, 2063/31, 10868/43, 2248/27, 14128/32; 195/45, 15655/26.

**პეტერბურგი.** საიმპერატორო სასახლის მინისტრი, დაეთხოვა რა ოთხი თვით საზღვარ გარეთ წასასვლელად, აცხადებს, რომ უმაღლესად ნაბძანებია, მის მაგიერად იმპერატორის სასახლის სამინისტროს გამგებლობა დაევალოს მისი უდიდებულესობის კაბინეტის გამგის თანამდებობის აღმასრულებელს გენერალ მაიორს რიდზევსკის, ხოლო საუფლისწულო დაწესებულებათა გამგეობა—საუფლისწულო დაწესებულებათა უმთავრეს მმართველობის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს გენერალ-მაიორს თავად კოჩუბეის.

**კარშტადტი.** სესილ როდსი გაემგზავრა ინგლისში.

**ლონდონი.** პალატა. მარკიზ სალისბიურმა წაიკითხა კრიუგერის წინადადება და აგრეთვე პასუხი ამ წინადადებაზე. საპასუხო დეპეშაში ნათქვამია, რომ ინგლისის მმართველობას შეუძლიან უპასუხოს მხოლოდ ის, რომ მას არა ჰსურს დათანხმდეს ტრანსვაალისა და ორანჟის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას.

**ჰააგა.** მართველობამ დაიქირავა დიდი შენობა, სადაც ექმნება სხდომა მუდმივ ბიუროს ხალხთა შორის სამედიატორე სამართლისას.

**ლონდონი.** გერშელიდან იუწყებიან, რომ ბერკმისტი ხელახლად დაიჭირა კაპის პოლიციელთა რაზმმა მაიორი გუკის წინამძღოლობით.

„ტაიმსში“ ლორენცო მარკეზიდან დეპეშით იუწყებიან 28 თებერვალს. „ხვალ ევროპაში მიემგზავრება ბურების მისია მშვიდობიანობის მოსალაპარაკებლად. მისსიაში არიან ფიშერი და გოლმარაუზი ვესსელი.“

**კაპშტადი.** ფრენჩი შევიდა ბლუმფონტეინში.

**სტრომბერგი.** ბრაბანტის ჯარები შაბათს. დილით, შევიდნენ ალივალპორტში შემდეგ იმისა, როდესაც მტრის ჯარი შაბათს მომხდარ ცხარე ბრძოლის დასასრულს, გადავიდა მდინარის მეორე ნაპირზედ.

**პრეტორია.** დღეს აქ მოვიდა ჟუბერი მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. ოფიციალურად ჯერ არაფერი არ გამოცხადებულა მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ.

**ვაშინგტონი.** წარმომადგენელთა პალატამ 166 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 120-სა დაამტკიცა მოხსენება ფინანსიურ კომისიისა ბილლის შესახებ.

**ვაშინგტონი.** პრეზიდენტების კრიუგერის და შტეინის თხოვნით ამერიკამ წინადადება მისცა ინგლისს, რომ იგი მზათაა მიიღოს შუამდგომლობა მშვიდობიანობის ჩამოგდების საქმეში, მაგრამ ამ წინადადებაზე ინგლისმა ისევე ზრდილობიანი და გრძნობიერი სიტყვებით ჟანაცხადა უარი, როგორითაც იყო გამოთქმული წინადადება. ამბობენ, წინადადება ისე იყო გამოთქმული, რომ მასში აშკარად არა სჩანდა, თუ ამერიკას მართლა ჰსურს ჩარევა მშვიდობიანობის ჩამოგდების საქმეში.

**ჰააგა.** მინისტრთა კრებაზე განიხილეს პრეზიდენტ კრიუგერის თხოვნა, რომელიც შეეხება მშვიდობიანობის ჩამოგდებისათვის შუამდგომლობის საქმეს. ძნელი საფიქრებელია, რომ მიღებულ იქმნას რაიმე გარდაწყვეტილება, ვიდრე ამ საქმის შესახებ არ შეიტყობენ აზრს დაინტერესებულ სახელმწიფოებისას.

**ლონდონი.** გამოქვეყნებულია შემდეგი ცნობა: „ტრანსვაალის მთავრობის თხოვნაზე შესახებ შერიგების შუამდგომლობისა გერმანიის მმართველობამ უპასუხა, რომ იგი იძულებულია უარჰყოს თხოვნა; ამიტომ იგი იმ აზრისაა, რომ ომი მას სრულიად არ შეეხება. რა შედეგი ჰქონდა ტრანსვაალის მთავრობის თხოვნას სხვა სახელმწიფოებთან, არავინ იცის“. ამის შესახებ „ვოლფის სააგენტო“ შენიშნავს: „ჩვენ მიერ შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, რომ ზემოხსენებული ცნობები მართალი არ არის და საქმე ასეა: ორივე რესპუბლიკების მმართველობამ პრეტორიაში მყოფ კონსულების პირით მიჰმართა დიდს და პატარა სახელმწიფოებს თხოვნით, რომ მეგობრული შუამდგომლობა გაუწიონ. გერმანიის მმართველობამ უპასუხა, რომ იგი სიამოვნებით იკისრებს შუამავლობას, რაწამს დაინახავს ამისათვის საფუძვლიან პირობას, ე. ი. როდესაც დარწმუნდება, რომ ორივე მხარეს ჰსურს შუამავლობა გერმანიისა.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს მევკინგიდამ დეპეშით სწერენ, რომ გარნიზონი ძალიან შეწუხებულია შემორტყმული ალყისა გამო, იკვებება ცხენის ხორცით და ცხენების საკვებისაგან გამომცხვარი პურით. ტიფი, მუცელა და ხუნაგი მძვინვარებს. უფრო ძალიან ხდებიან ავად დედაკაცები და ყმაწვილები. მკვიდრნი შიმშილით იხოცებიან.

**დურბანი.** ჟუბერი ამ ჟამად აქ არის თავის დივიზიის ერთი ნაწილით, მაგრამ არავინ იცის, საით აპირებს წასვლას თავის ჯარით.

**პეტერბურგის ბირჟა 1 მარტი.**

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდვლისა. |
|---|---|---|---|
| | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 217 3/4 |
| 3 1/2 % გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . | — „ | — „ | 91 5/8 |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 97 1/2 | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 99 „ | — „ |
| 4 1/2 % ამავე ბანკისა | — „ | 92 „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 97 1/2 | — „ | — „ |
| 4 1/2 % იმავე საზოგადოებისა , . . . | — „ | 92 „ | — „ |
| 5% პირველი შინაგანი სესხის მომგებიანი ბილეთი . | 293 | — „ | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 272 |

დრ. რედ. ალ. ჭყონია

# გამოსადეგი ცნობანი

**საკალენდრო ცნობები**

**ხუთშაბათი,** 2 მარტი; ახალი სტილით 15 მარტ. წლის დასრულებამდე

დარჩა 304 დღე. მთვარის მე-15 დღე. დიდი მარხვის მეთერტმეტე დღე. ხსენება წმ. მოწამისა თეოდოტესი და არსენისა.

**ხვალ**, 3 მარტი; ახალი სტილით 16 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 303 დღე. მთვარის მე-16 დღე. დიდი მარხვის მეთორმეტე დღე. ხსენება წმ. მოწამისა ევტროპისა.

შემდეგი უქმი—25 მარტს—ხარება.

## ნ ი ხ რ ი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | —11 | გ. |
| სუკი . . . . | 1 › | —15 | გ. |
| › ცხვრისა . | › › | —11 | გ. |
| › კამეჩისა. . | › › | — 5 | გ. |
| › ღორისა. . | » › | — 8 | გ. |
| › ღორის ზარკალი სალორეთი . | 1 › | —10 | გ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | გ. |
| › › | II | » | › | › $3^1/_2$ | › |
| › › | III | › | » | › 3 | › |
| იგივე თორნისა | I | › | » | « 5 | › |
| › › | II | › | » | › 4 | › |
| › › | III | › | › | › $3^1/_2$ | › |
| ლავაში ჯგ. მამ. | I | › | › | › 6 | » |
| › › | II | › | › | › 4 | › |

## ტფილისის ბაზრები:

| გაიყიდა მეიდნებზე: | | კოკზალზე | |
|---|---|---|---|
| ხორბალი საყგ. ფუთი. | მ. გ. | მ. | გ. |
| | 1 | 1 30 | 1 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 | — |
| ქერი . . . . . . | 1 | — 88 | —85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — 70 | —— |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 20 | —— |
| › ფურო მღარე. | 1 | 1 10 | —— |
| კომბოსტო. . . . | 1 | — 60 | —— |
| კარტოფილი. . . . | 1 | — 60 | —— |
| ხახვი . . . . . | 1 | — 50 | —— |
| თივა . . . . . . | 1 | — 60 | —— |
| ბზე . . . . . . | 1 | — 28 | —— |

შეშა რცხილისა 1 სრული საყ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ 8 მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

## რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 | მ. 25 კ. | № 4—7 | › 25 › |
| № 1—8 | › 50 › | № 5—7 | › — › |
| № 2—8 | › — › | № 6—6 | › 75 › |
| № 3—7 | › 50 › | № 7—6 | › 25 › |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ფშხვნილი „ 4 „ 80 „
მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

## საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის. ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, გორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერასატუროვი.

თვალების **სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბაროწესა ტიზენგაუზენის და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუღიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ., ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. სად.

საფოსტო მატარებელი **№ 3** ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდის სადამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის სადამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის სად. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. სად., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი **№ 5** ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჟომში მიდის 8 ს. 23 წ. სად.

**მატარებელი № 6** ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე —დღეს 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე —9 ს. 49 წ. სად.

**ფოთიდან** სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—სად. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 ს. 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სე 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორე—ღამის 2 ს. 05 წ.

**მიხაილოვიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს**, რომ 19 თებერვალს 1900 წლის დადგენილების თანახმად, ქალაქის საავადმყოფოში და მის განყოფილებებში ავადმყოფთა მიღების საქმის მოწესრიგებისთვის, შემოღებულია შემდეგი კანონები:

1) ქალაქის საავადმყოფოში და მის განყოფილებებში (კუკიის, ხარფუხის და ავლაბრისა) უფასოდ მიიღებიან და წამალიც უფასოდ მიეცემათ მხოლოდ ღარიბებს, რომლებმაც საავადმყოფოში ჩაწერისათანავე უნდა წარმოადგინონ სიღარიბის მოწმობები.

2) ამგვარ მოწმობების მიცემა შეუძლიათ: პოლიციას, სასულიერო პირთ ყველა სარწმუნოებისას, ყველა ექიმებს, როგორც ქალაქის, ისე სახელმწიფო სამსახურში მყოფთ, აგრეთვე კერძო ექიმთაც, სასანიტარო ზედამხედველთ, საქველ-მოქმედო საზოგადოებათ, სავაჭრო და სახელოსნო წოდებათა მმართველობათ, მოქალაქეთა და ხელოსანთა მამასახლისებს, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა უფროსებს და აგრეთვე სასწავლებელთა გამგეთ.

3) სიღარიბის მოწმობა არ მოეთხოვება მხოლოდ იმ ავადმყოფთ, რომლებსაც დახმარება დაუყოვნებლივ უნდა აღმოეჩინოს.

4) ჩაწერა ავადმყოფთა, რომელნიც საავადმყოფოს ან მის განყოფილებათ მიჰმართავენ, მოხდება ყოველ დღე შუადღის 12 საათამდე.

ნ. 3—3

გამომც. ჰ. გუხაა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Марта, 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.